<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ.55) 134^4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2016 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსის სავალდებულო ეტაპია კონკურსის მონაწილის ტესტირება ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. თანამდებობაზე ამ პუნქტით დადგენილი წესით დანიშნული მოხელე ატესტირებას ექვემდებარება ამ კანონის 82-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად“.

მუხლი 2.ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**